პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

14/08/2025

MES 9 25 0000986103

გადაწყვეტილება

**სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლისთვის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების
უფლებამოსილების მინიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლას (ს/კ: 239403917) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი)**.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 14 აგვისტოს № 985805 ოქმის მეცხრამეტე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე,: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩიხა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	28
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	28
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118